„მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა“

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ფასი 1 მან. 50კ.

№ 32 კვირა 29 ივნისი 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

დღეს გაზეთის შინაარსი:

1) ვერსალის ზავი.
2) დანგრეულ ოჯახთან.
3) რევოლიუციის და ერის მოღალატენო.
4) ჩვენც მათან ვართ.
5) საქ. რევოლ. სინდიკ. მაშვრ. კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.
6) სადღეისო მუსაიფი.
7) დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.
8) ლუარსაბ ბოცვაძე.
9) გეკვრით (სამხედრო ნაწილში).
10) ჟურნალ-გაზეთებიდან.
11) ახალი ამბები.
12) ჩვენი ფოსტა.

საერთო კრება.

ივლისის 1-ს, სამშაბათს საქალაქო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სამკითხველო, ალექსანდრეს ბაღის გვერდით) საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება საქართ. რევოლიუც. სინდიკალისტ მაშვრალთა თფილისის კავშირის წევრთა საერთო კრება. დასწრება ყველა წევრთათვის საგალდებულოა. დასწრება შეუძლიათ არა წევრთაც,

მოხსენებას თანამედროვე მომენტზე და ჩვენს მიზანზე გააკეთებენ ალ. წერეთელი, ბ. ქელბაქიანი და ალ. იოსელიანი. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

გამოვიდა და იყიდება

გალაკტიონ ტაბიძის

ლექსთა მეორე წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ავტორის ლექსები 1914—1919 წლამდი. წიგნი სუფთათ არის შედგენილი და ძვირფას ქაღალდზე და ღირს 25 მანეთი.

დედა-ქალაქი ივნისი 29 1919 წ.

ვერსალის ზავი

იმპერიალიტებმა და კაცთა შორის მშვიდობიანობის დაუძინებელმა მტრებმა გაიმარჯვეს. გერმანიის მთავრობა უძლური აღმოჩნდა, შეემსუბუქებია ზავის მძიმე პიროობები. გადადგა შეიდემანის მთავრობა და ახალი სამინისტრო ბაუერის მეთაურობით შესდგა, ახალი მთავრობა იძულებულია ხელი მოაწეროს იმ ზავს, რომელიც უსაშინელეს ტვირთად დააწვება გერმანელებს. ივნისის 25-ს გერმანელებს კიდეც უნდა მოეწერათ ხელი საზიზღარ და ველური შურისძიებით გაჟღენთილ ზავზე. როგორი შეხედულებისაც არ უნდა ვიყოთ იმაზე. უნდა დათანხმებულიყო თუ არა გერმანია „კაცთმოძულეთა პირობებზე, ერთი რამ ცხადია: ოდესღაც ძლიერი და დაუძლეველი გერმანია დღეს გამარჯვებულთა საშინელი შურისძიების ობიექტია, მას ყოველი მხრივ ყელთან ააქვს მიბჯენილი ზარბაზნის ლულა და უძლურია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ჟამად მაინც გამარჯვებით გალაღებულ იმპერიალისტებს. რევანშის გრძნობით გაბრუებული გამარჯვებული საფრანგეთი თვით სჭედს იმ ეროვნულ ბორკილებს, რომლის საშინელება თვით განიცადა ამ ორმოცი წლის წინად; ცივი ანგარიშისა, დაუნდობლობისა და გაიძვეროობის მუდმივი მატარებელი ინგლისი დღესაც, როგორც საუკუნეების განმავლობაში, აგრძელებს თავის შავ-ბნელ პოლიტიკას—ყველა მომქმედი ერის „პატიოსნად და „კულტურად“ დამონებისას, მეწვრილმანური ანგარებით გაჟღენთილი, მეშჩანურ-ბურჟუაზიულ სულის კვეთებით დაავადებული ამერიკა თვისი კაპიტალის ბატონობაზე ჰფიქრობს და ამავე დროს არ ივიწყებს „საქმეთ ქველმოქმედებისას“...

ასეა თუ ისე, დღეს ამათ გაიმათჯვეს და ისეთ ზავს ჩაუყარეს საძარკველი, რომლის ცხოვრებაში გატარებაც რომ მოხერხდეს, შეუძლებელი და წარმოუდგენელია ხუთი წლის უსაშინელეს ომით განაწამებ კაცობრიობას მართლაც მშვიდობიანობა ეღირსოს.

ეს ზავი თავისთავად ისეთი ბოროტობაა, იმდენ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, რომ უძლურია ამერიკულ ბურჟუაზიულ სამზარეულოში გამომცხვარი ვილსონის „ხალხთა ლიგის“ იდეა არსებითად რაიმე წესიერება დაამყაროს თანამედროვე საერთაშორისო აწეწილ საქმეებში. თუ ეს ზავი ასე დარჩა, ჩვენ მუდმივ ომის პროცესში ვიქნებით და ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო ქვეყანამ „მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოებისათვის“ ფუჭად ჩატარებული იქნება. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საფრანგეთისა, ინგლისისა და ამერიკის მშრომელი ხალხი შეურიგდება ამ ზავს. პირიქით ჩვენ ვფიქრობთ, რომ შრომის შვილნი შესძლებენ თავიანთ ქვეყნებში ბოლო მოულონ იმპერიალისტების ვაკხანალიას და არსებობასაც და საშუალება მისცენ კაცობრიობას ეზიაროს ნამდვილ მშვიდობიანობას. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდება და თამამდება საერთაშორისო რეაქცია, მაგრამ ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ ეს არის შეიძლება უკანასკნელი ამოძრავება დამუწუკებული და შიგნით დამპალი ორგანიზმისა. დღეს რომ კიდევაც დამარცხდეს საერთაშორისო რევოლიუცია, ტყუილად გაიხარებენ იმპერიალისტები. იმიტომ რომ მათ მიერ შექმნილი ზავი თვით მათვე გამოუთხრის ღრმა და ბნელ სამარეს...

დანგრეულ ოჯახთან!

26 ივნისს ზუბალაშვილის სახლის კედლები მოწამე გახდა მუშათა კლასის მთლიანობისა და სოლიდარობის დარღვევისა, პროლეტარული ავანგარდი ისევ დაუპირდაპირდა ერთიმეორეს და მით ლახვარი ჩასცეს მუშათა კლასის მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს!

ამიერიდან დღე იგი წყეულ მოსაგონად დარჩება მუშათა კლასის მოგონებაში, ხოლო მესამე, ხმალ ამოწვდილი მტერი გულიანად გადიხარხარებს, როცა მის ავთვალთა ხედვას ჩვენი დანგრეული ოჯახი მოელანდება! დიახ 26 ივნისს გაითხარა სამარე და საფლავი, სადაც ტფილისისა და ბაქოს პროლეტარიატმა შიგ ჩაასვენა ძვირფასი მიცვალებული „თანხმობა!!“ გულის წყვეტით და მწარე მოგონებით მოიგონებს ამ შავბნელ დღეს მუშათა კლასის მომავალი ისტორია! ჯავშან-მუზარადით შეკაზმული მტერი გარს არტყია ამიერკავკასიის მუშათა კლასს, მსოფლიო იმპერიალისტები აპოტინებენ ჩვენსკენ თავის მჭლე იმპერიალისტურ ზრახვებს, აქ ყველაზე უფრო საჭირო იყო ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედება და მუშათა კლასმა ეს ყველაზე უფრო ძვირფასი მომენტი ხელიდან გაუშვა!

დღეს როდესაც მთელი მსოფლიოს ჰორიზონტი რევოლიუციონურ ღრუბლებით იფარინთება, როცა მთელი დედამიწის მუშათა კლასი საშინელის კატასტროფით ემუქრება ბურჟუაზიას, ყველაზე უფრო საჭირო შეერთებისკენ მოუწოდებთ ჩვენ მუშა ამხანაგებს! 26 ივნისი—ეს ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია, რაც მან გადმოგვცა და გვიანდერძა, ამიერკავკასიის მუშებს ყველაზე მეტად მართებს თავი ანებონ ვიცე-დირექტორების, გრძნეულ კვერთხს და მუშათა კლასს მოუწოდონ, რათა ძვირფასმა მთლიანობამ და მუშურმა შეკავშირებულმა ძალამ შეერთებულის ძალღონიდ ერთის დაკვრით მოსპოს კარზე მოსული მტერი. გონს მოდით! ისევ შეერთდით!!!

აი რას მოვითხოვთ ჩვენ სინდიკალისტები!..

ს. კოლხიდელი.

ერის მოღალატენო, რევოლიუციის დამლუკველნო!

ყოველივე სინიდისის და პატიოსნების დამკარგველნო, რას ფიქრობთ, რა გამოქმედებთ, ვერ მოგინელებიათ თავისუფლების და რევოლიუციის ხანა. ვერ შეგუებიხართ ცარიზმის და თვითმპყრობელობის დაკარგვას. მე მესმის, როდესაც რუსეთის შავი რეაქციონერები, და მათი ავანგარდი ოფიცრობა, ყოველივე ფორმალურ ღირსებას ჩამორთმეულთ ვერ მოუნელებიათ, ვერ განშორებიან ჩინორდენებზე ფიქრს. უმთავრესი მათი მამოძრავებელი ფაქტორი რა არის, თუ არა უშინაარსო, ყოყოჩური, უღირსი ღირსების დაცვა. მე მესმის, როდესაც ისინი დენიკინს მხარში ამოსდგომიან და ლამობენ ვითომდა ძველი რუსეთის აღდგენას მთელი ისი საშინელებით, მაგრამ თქვენ უღირსო შვილნო, საქართველოს შეურაცხმყოფელნო, სამშობლოს და რევოლიუციის მოღალატენო ქართველო ოფიცრობა, რას ეკითხებით თქვენს თავს, რა აზრი გამოქმედებს, რას გეუბნებათ თქვენი სინიდისი, როდესაც იღებთ მახვილს ხელში მათ გასაგმირავათ, ვინც ღია გულით თავგანწირულად, რომელთაც სამშობლოს შერცხვენა, მისი გაქელვას სიკვდილი ურჩევნიათ მიუტოვებიათ ყოველივე პირადი ბედნიერება და სამშობლოს და რევოლიუციის სადარაჯოზე სდგას და ელის ყოველ წუთს ვერაგ მტრის შემოტეულ მახვილს, რომ მათაც გმირულათ პასუხი გასცენ. ნუ თუ ვერ შეგიგნიათ და თუ შეიგენით არ გაშფოთებთ, თუ რას უმზადებთ თქვენი თავხედობით თქვენ ამღზდელ—სიცოცხლის მომცემ თვალის ამხილელ სამშობლოს კერას, ნუ თუ არ გაწუხებთ ის თუ რა დღეს დააყენებს გამხეცებულ მგელთა ხროვა თქვენ დედებს, თქვენ დებს, მოხუც მამა-პაპებს, ნუ თუ არ იცით, რომ მთელი საქართველო და რევოლიუციონური დემოკრატია სისხლით შეიღებება და შეიღებება იმიტომ, რომ სამარცხვინო დანებებას ყველა სიკვდილს ირჩევს. აღა-მამადხანზე საშინელი სურათი განმეორდება. მხოლოდ მაშინ მოღალატენი თითზე ჩამოსათვლელი იყო, რომელნიც მხოლოდ ჯაშუშობით კმაყოფილდებოდენ, დღეს კი თვით აგიღიათ მახვილი ხელთ და თქვენი ბილწი ხელებით ლამობთ თქვენი ქვეყნის დამცველი გმირების გულის გაპობას, მაგრამ არა, სამშობლოს და რევოლიუციის დამცველნი თქვენ შესაფერ ადგილს მიგიჩენენ, ისტორია საუკუნოთ აღნუსხავს თქვენს მოღვაწეობას სამშობლოსადმი. ნუ ფიქრობთ მოღალატენო ჩვენ უსისხლოთ დამორჩილებას და რეაქციის აღდგენას ჩვენში, რომ ისევ ძველებურათ ითარეშოთ სანამ განახლებულ ქართველ ერის მამოძრავებელ მშრომელ ხალხში რევოლიუციონური სისხლი სჩქეფს, სანამ მათში არ გაჭქრება თავისუფლების და ბედნიერებისაკენ ლტოლვა-სურვილი მანამ მათ ასე ადვილათ ვერვინ დაიმორჩილებს, მხოლოთ სისხლით დაცლილ მათ გვამებზე შეგიძლიათ გადიაროთ სისხლის მსმელ მგელთა ხროვამ, და მათში მყოფ სამშობლოს გამყიდველებს შეგიძლიათ დაეწაფოთ და შესვათ თქვენ მიერ გაგმირულ თქვენი სამშობლოს და თავისუფლებისათვის თავგანწირულ გმირთა გულიდან გადმონთხეული მოძმე მამულიშვილის უმანკო სისხლი.

დემნა.

ჩვენც მზათა ვარო...

მთელი მსოფლიო პირის-პირ დგას სოციალისტურ რევოლიუციის წინაშე. დღეს არა ხვალ აუცილებლად კაცობრიობას მოედება საერთაშორისო რევოლიუცია და მას სოციალისტური ხასიათიც მიეცემა.

ეს უკვე დაწყებულია, არ დარჩენილა ასე ვსთქვათ არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, რომ იქ არ იყოს რევოლიუციის ჩანასახი, ყოველგან ხშირათ, მუშური გაფიცვები პოლიტიკური ხასიათისა, საპროტესტო რეზოლიუციები იმპერიალისტების წინააღმდეგ. ამა თუ იმ მოქმედების გამო, ჩვენ ბევრი გვსმენია და გვესმის ეხლაც მოკავშირეთა სახელ-

მწიფოების მუშების პროტესტი. გერმანიისადმი და ავსტრიისადმი წარდგენილ ზავის პირობებისა.

რუსეთის დიდი რევოლიუცია გაფთრებულ ხასიათს ღებულობს და დასავლეთსაც გიგანტიური რევოლიუციონური ცეცხლი ედება.

ვერავითარი სტიქიური მოქმედება, რეაქციონერების მხრით მას ვერ ჩააქრობს, რადგანაც ძლიერია ლტოლვილება და სიყვარული თავისუფლებისადმი, ძლიერია კაპიტალიზმის დამხობის სურვილი და [მისგან განთავისუფლება მშრომელი მასსისა.

ბრძოლაში ის იმარჯვებს ვინც მეტი შეგნებულია, ვისაც მიზნათ აქვს მონური ბორკილების დამსხვრევა და სამუდამოთ გათავისუფლება, ამ მხრით მუშებს პირველი ალაგი უპირავთ და მომავალიც მათია.

დღეს გამოჩნდება ვის უფრო უყვარს მშრომელი ხალხი თა ვინ მიილტვის მის განთავისუფლებისაკენ, ვინც მას არ მიჰყვება ის მისი მტერია და დღეს უნდა აეხადოს მასკა იმ ბატონებს, რომლებიც სოციალისტურ ქურქში ევლინებიან მშრომელთა მასსას თავის პირადი ბატონობისათვის და სხვადასხვა დაპირებებით მშრომელ კლასს იყოლიებს თან ოცნოების მორევში, თუმცა-ღა მუშებმა ეს უკვე გაიგეს, რომ არავითარ გაბატონებულ პარტიას მისთვმს ბედნიერების მოპოება არ შეუძლია.

მთელი მსოფლიო ორ დიდ ბანაკათ არის დაყოფილი: ერთ მხარეზეა ეკონომიურათ ძლიერი და გამყვლეფელი ბურჟუაზია და უილაჯო რეაქციონერები, რომლებიც მშრომელთა ბანაკს შთანთქას უქადის, მეორე მხარეზეა გაძვალ-ტყავებულ. ბრძოლით სისხლისაგან დაცლილი მშრომელი მასსა, ქალაქის და სოფლის მუშები.

პირველნი მოითხოვენ გაბატონებას, გამდიდრებას და ქვეყნის გადაყლაპვას, მეორენი კი—სამართლიანობას, ძმობის დამყარებას და ჩაგრვა მონობის მოსპობას.

პირველს უპირავს ეროვნული და ტრადიციული დროშები, ეროვნებათა სიმძულვარის და და შხამის დამთესავი, მეორეს კი—მათთვის თავზარ დამცემი, მათი გამანადგურებელი, ჯერ კიდევ სისხლით შეღებული წითელი დროშა, რომელიც ძირს არ დაეშვება სრულს გამარჯვებამდე.

აი ამ ორ ბანაკთა შორის ბრძოლაა გაჩაღებული. სისხლიდან იცლებიან საუკეთესო მებრძოლნი; მსოფლიო პროლეტარიატი იბრძვის ოთხკუთხივ ინგრევიან ძველი სასახლეები, სადაც ოდესმე მეფეები განცხრომას ეძლეოდენ; იმსხვრევა ძველი რეაქციონური და ბურჟუაზიული წესწყობილება.

მშრომელ ხალხს ახალ-ახალი ძალა ემატება, — მოწინააღმდეგეებს კი—ეცლებათ [და მარტოთ, როგორც ძირ გამომპალი მუხა, გამოლაყებული ჩენჩო რჩება.

ამის საუკეთესო დამატკიცებელია რუსეთის რევოლიუცია, რომელიც დაუნდობლათ ებრძვის ძველს ამყარებს ახალს; ასე ხდება გერმანიაში და სხვა ახლათ განთავისუფლებულ [ვეყნებში და თუ ჯერ კიდევ საფრანგეთში და ინგლისში მუშები ქტიურათ ვერ გამოდიან და მარტოთ გაფიცვებით და საპროტესტო რეზოლიუციებით თავს ინუგეშებენ, დადგება დრო რომ ისინიც და მასთან ჩვენც ჩავებმით საერთაშორისო რევოლიუციის ფერხულში, რადგანაც მსოფლიო იმპერიალიზმის ციტატი (რუსეთი და გერმანია) დანგრეულია და რამდენათ არ უნდა ეცადონ დრომოჭმულმა და წრეს გადასულმა, მშრომელთა ხალხის, მტრებმა, ძველის აღდგენის და ახალის დანგრევას სრული უტოპია იქნება.

მეოცე საუკუნე მეტი მკაცრი გამოდგა ვინემ გასული საუკუნოები, მან ახადა მასკა ყველა ცრუ-მორწმუნოებს, უკაფავს და რამოდენიმეთ კიდეც გაუკაფა გზა მშრომელ მასსას და საუკეთესო გზისაკენ მიუთითა.

თანამედროვე მომენტს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს მოათავსოს ერთ სფეროზე ორი ბანაკი ბურჟუაზია ღა პროლეტარიატი, ან პირველი ან მეორე სხვა გამოსავალი გზა არ არის, ამისთვის იღვრება წმინდა სისხლი მშრომელთა მასსისა, წმინდა საქმისთვის. მოსკოვის. პეტერბურგის, მიუნხენის, კენისბურგის, ბუდაპეშტის და სხვ. ქუჩებში; მკაცრია გაბატონებული კლასი ბრძოლაში, მაგრამ მეტი მკაცრი აღმოჩნდა დღეს მშრომელთა კლასი თავისუფლების და თანასწორობის დაცვაში.

საქართველოს მშრომელი ხალხიც ასეთ აუცილებელ ბრძოლის წინაშე სდგას და არ შეუძლია მათ გულზე ხელდაკრეფილი უცქერდეს შექმნილ მდგომარეობას, ჩვენც გუშინდელ ამხანაგებთან ერთათ უნდა შეუტიოთ კარზე მომდგარ გაბრაზებულ და უდღეურ რუსის შავს ყორანს დენიკინს და მთელი ჩვენი ძალღონით ერთხელ და საუკუნოთ ჩავცეთ ლახვარი, აღმოვფხვრათ დედა-მიწის გულიდან, იმისი ხსენება აღარსად იყოს და დენიკინის შავი მოქმედება ძველის ძველს არხივს ჩავაბაროთ, სადაც ,,ასეთ ვაეკაცობისათვის'' ოდესმე მისი თანამოაზრენი პატივისცემით მოიხსენიებენ,

ჩვენ შევძახებთ მსოფლიო მაშვრალთ: ,,ჩვენც საქართველოს მაშვრალნი თქვენთან ვართ'', და მათთან ერთად ჩავებმით საერთაშორისო რევოლიუციის ფერხულში.

მაშ ან სიკვდილი, ან საუკუნოთ გამარჯვება თა ბედნიერების მოპოვება.

აი დღის წესრიგი და აქეთ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი მშრომელთა ყურადღება, რომ ჩვენც ჩვენი წვლილი გამოვიღოთ ქვეყნის შენებაში.

მზათა ვართ ჩვენი წითელი დროშაც შეუერთოთ საერთაშორისო რევოლიუციონურ მსვლელობის დროშებს და მათთან ერთათ ჩვენც ვიდღესასწაულებთ მსოფლიო მშრომელთა გამარჯვებას.

დაყოვნება მომაკვდინებელია, რადგანაც არა ერთი მაგალითი გვახსოვს თუ რა გამოუწვევია მთავრობის ყოყმანს და მერყეობას, საკმარისია ბათუმის ამბებიც.

მოსე ფირ—შვილი.

საქართველოს რევოლიუც. სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.

(გაგრძელება იხ. ,,ახ. ნაკ. № 31).

მოკლე განმარტება უმთავრესი მუხლებისა

1. კლასთა ბრძოლა.

ადამიანთა შორის არსებული ქონებრივი უთანასწორობა აღმოცენდა და დამყარდა პირველყოფილი კომუნიზმის ნანგრევებზე; იგი წარმოშობილია კერძო საკუთრების მიერ. ამ უთანასწორობამ მისცა დასაბამი კლასთა დაარსებას და ამიტომაც საზოგადოებრივი კლასები უპირველად ყოვლისა ეკონომიური მოვლენა არიან. თითოეული კლასი გარკვეულ ინტერესების განსაზღვრული კატეგორიაა. კლასთა წარმოშობას თან სდევდა აგრეთვე კლასთა ბრძოლაც. ამგვარად, მართალია. კლასთა ბრძოლა უუძველეს დროიდან არსებობს. მაგრამ თავდაპირველად იგი უფრო შეუმცნობელი, სტიქიური იყო და მხოლოდ შემდეგ განვითარების პროცესში იღებს იგი შეგნებულსა და გარკვეულ სახეს. კლასთა ბრძოლას ახასიათებს უმთავრესად ორი ნიშანი: ობიექტიური, რომელიც კლასთა არსებობასა და მაშასადამე ქონებრივი უთანასწორობის ფაქტზეა დამყარებული, და სუბიექტიური, რომელიც კლასობრივი თვითშეგნებაში გამოიხატება. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი კლასი არჩევს თავის თავს სხვა კლასებისაგან და თავის განსაკუთრებულ იდეალს ისახავს. კლასთა ბრძოლის სათანადო განვითარებისათვის არ კმარა მხოლოდ ობიექტიური პირობების არსებობა, აუცილებელია შეგნება ამ ობიექტიურ პირობათა მნიშვნელობისა, საჭიროა სუბიექტიური [ძალაც—იდეალი, რომელიც უნდა აღვიძებდეს მებრძოლთა გონებას, ხელმძღვანელობდეს მის მოქმედებას, იფარავდეს მას გადაგვარებისაგან და აჩქარებდეს მის სვლას საბოლოო მიზნისაკენ. [ეს ორი ელემენტი კლასთა ბრძოლისა—ობიექტიური და სუბიექტიური—განუყოფელი და განუთვისებელი უნდა იყოს.

კლასთა ბრძოლის ნიადაგია წარმოება და ნაწარმოებთა მოხმარება. რაკი საზოგადოების ერთ ნაწილს კერძო საკუთრების უფლებით დაუპყრია საწარმოთ იარაღები და ბუნების სიმდიდრე და მიუნიჭებია მხოლოდ თავისთვის მათი მოხმარებისა და გამოყენების უფლება, მაშასადამე ცხადია, იგი არ ცხოვრობს საკუთარი შრომით, არამედ სხვისი, მაშვრალი ხალხის შრომის ექსპლოატაციით. ეს მაშვრალი ხალხია, რომ ჰქმნის ყოველგვარ ღირებულებას, სიმდიდრეს, ხოლო მისი შრომის უდიდეს ნაწილს ისაკუთრებს და სტკბება ბურჟუაზია. პროლეტარიატი კი, შემქნელი უსაზღვრო სიმდიდრისა, მით თვით ვერ სარგებლობს და ყოველად გაჭირვებულ არსებობას ატარებს. ყოველივე, რაც წარმოებაში შექმნილია და ან იქმნის, ყველაფერი სოციალური კოლექტივის ქმნილებაა. მაგრამ ყველაფერი ეს თანამედროვე პირობებში მხოლოდ მართველი კლასის ქონებაა.

ერთი სიტყვით, დღევანდელი მრეწველობა სოციალურია წარმოების მხრივ, მაგრამ ინდივიდუალისტურია მითვისება-მოხსმრების მხრივ.

პროლეტარიატი მიისწრაფვის ამ ბოროტების მოსასპობად და სამართლიანობის დასამყარებლად, მას ჰსურს, რომ თანამედროვე მრეწველობა, სოციალური წარმოების მხრივ, სოციალური გახდეს მოხმარებითაც, რომ ნაწარმოები საზოგადო ენერგიისა და ძალისა საზოგადოებას ეკუთვნოდეს და არა კერძო პირებს; ამიტომაცაა, რომ მან თვისი იდეალი სიტყვა „სოციალიზმით“ გამოხატა, ბურჟუაზია კი პირიქით ცდილობს შეუნარჩუნოს უცვლელად წარმოებას სოციალური ხასიათი, ხოლო მოხმარებას ინდივიდუალისტური. ამიტომაც ბურჟუაზია კლასს წარმოადგენს, რადგან იგი არავითარ პირდაპირ წარმოებითი როლს არ ასრულებს. ფეოდალურ არისტოკრატიასთან ბრძოლაში ბურჟუაზიამ მოიხმარა მუშათა კლასი, მისი უახლოესი შემწეობით, ძალით დაამხო ფეოდალიზმი და დაამყარა თავისი ბატონობა. მაგრამ არსებითად შეიცვალა მხოლოდ გარეგნული გამოხატულება მონობისა, თორემ მშრომელი ხალხი ახალი ბატონის მიერ კვლავ მონურ მდგომარეობაში იქნა დატოვებული. საბედნიეროდ დღეს პროლეტარიატი თვის ბრძოლაში უკვე დავაჟკაცებულია და უკვე სავსებით აღარ საჭიროებს ბურჟუაზიის ხელმძღვანელობა-ორგანიზატორობას. ვინაიდან ბურჟუაზია თავის ნებით არას დაუთმობს პროლეტარიატს ისევე, როგორც ფეოდალიზმა არ დაუთმო ბურჟუაზიას, ამიტომ როგორც მონობისა და ფეოდალიზმის დამხობ აგენტად უპირველესყოვლისა კლასთა ბრძოლა იყო, ისე კაპიტალისტური წეს-წყობილების, რომლის არსებობაც თანდათან დაუდეგარი ხდება და უკვე ძირი ეთხრება, დამხობ აგენტად იგივ კლასთა ბრძოლა იქნება. ძველი დროის სახელმწიფოები დაიღუპნენ ამ შინაგანი სოციალურ წინააღმდეგობათა მეოხებით, რომელიც უმთავრესად მონობის საზიზღარ ინსტიტუტის არსებობაში გამოიხატებოდა; ახალი დროის სახელმწიფონი კი დანგრეულ იქნებიან პროლეტარიატის წითელი ლაშქრის ძლიერი მკლავით, კლასთა ბრძოლის მოსპობა მხოლოდ კლასთა ბრძოლითვე შეიძლება. პროლეტარიატი სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული თანამედროვე ბურჟუაზიულ წესწყობილების დამხობაში, რადგან მასშია მისი ხსნის ერთადერთი გზა და ისტორიის მიერ დაკისრებული წმინდა მისია. ამ ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე უნდა ოახდინოს მან თვისი ძალის სრული მობილიზაცია და კოორდინაცია და წაუმძღვაროს თავისი სუბიექტიური ხელმძღვანელი შეგნება—იდეალი ამ კლასთა ბრძოლის ძირიან-ფესვიანად მოსპობისა და თანასწორ, თავისუფალ და ჰარმონიულ ცხოვრების დამყარებისა და მედგარი ბრძოლით დაამხოს თანამედროვე მონობის რეჟიმი. გაინთავისუფლოს თავი თვისი და მით თავისუფალ ჰყოს მთელი კაცობრიობა. რაც უფრო იზრდება და ფართოვდება მუშათა კლასის თვითშემეცნება და გამოცდილება, იგი მით უფრო აშკარად რწმუნდება, რომ ერთი კლასის მეორეზე გაბატონებას ვერ გახდის თვის იდეალის განსახორციელებელ საშუალებად და ამ მხრივ ბურჟუაზიის მაგალითისა და გზას ვერ გაჰყვება. დიქტატურის დაწესება მისი საქმე და მიზანი არ არის; დიქტატურა ბატონობაა, ხოლო პროლეტარიატის მიზანი ყოველგვარი ბატონობის მოსპობაა. სოციალიზმი და დიქტატურა არსებითად შეურიგებელი რამ არის. ამიტომ დიქტატურა, რა მიზნითაც არ უნდა იყოს იგი დაწესებული, რეაქციონური მოვლენაა და თვის არსებობაშივე ატარებს რეაქციის წარმომშობ პირობებს. სოციალური რევოლიუციისთვის მომწიფებული და განვითარებული მუშათა კლასის იდეალი არ შეიძლება იყოს პიროვნების დაჩაგვრის რეჟიმი, რადგან თვით ეს კლასი წარმოადგენს პიროვნებათა თავისუფლებისთვის მებრძოლ ინდივიდთა კავშირს.

თვით კლასობრივი ბრძოლაც ის ფორმაა მოძრაობისა, რომელსაც ადამიანის სახელმწიფოსა და ადამიანის მიერ დაჩაგვრის მოსპობასთან ერთად მიზნად აქვს [illegible] ბისა და სრული [illegible] ამ მხრივ კლასთა ბრძოლა კოლექტიური განხორციელებაა ინდივიდუალობისთვის ბრძოლისა.

(გაგრძელება იქნება)

სადღეისო მუსაიფი.

III.

მიწის კანონის ავტორები ამბობენ, რომ მშრომელ ხალხს ამ ჟამათ აუარება ფული გაუჩნდა. მან აღარ იცის, რა უყოს ამ ფულს.

აი, სწორეთ ამ გადამეტი ფულით შეწუხებულ ადამიანს ჩვენ უნდა დავეხმაროთ, საცოდავი გაჭირვებიდან გამოვიყვანოთო და ეს შემწუხებელი და დამღონებელი ფული ჩამოვართვათო.

პირდაპირ, ძალით, დეკრეტის საშუალებით ეს, ცოტა არ იყოს, უხერხულია, რადგან მაშინ შეიძლება კენჭები აღარ ჩაგვიჩხრიალოს მშრომელმაო. აქ ხერხია საჭირო, ხერხი ნაცადი ყოველი ქვეყნისა და სახელმწიფოს ბიუროკრატიის მიერ. ეს ხერხი კი ის არის, რომ ხალხს რაიმე, ამ ფულის მაგიერი უნდა მიაწოდო და ისე მოაჩვენო, რომ აქ საქონლის გაცვლა-გამოცვლა არის, არც მეტი, არც ნაკლები. მით უფრო იოლათ გავა ეს ხერხი ამ ჟამათ, როცა საშკაროზე არის გამოტანილი ასე წოდებული არა-პირდაპირი გადასახადი, გაწერილი ცხოვრებისთვის ყოვლად მიუღებელ ყოველგვარ საჭიროებაზე, ის გადასახადი, რომელიც კი დაგმობილი იყო წარსული საუკუნის ჭირველ ნახევარში თვით სისმონდის მიერაც კი, სოციალისტების მიერ კი ეს არა-პირდაპირი გადასახადი ხომ სრულებით შეჩვენებულია, რადგან დამტკიცებულია, რომ ეს გადასახადი მთელი თავისი სიმძიმით მშრომელ ხალხს, მაშვრალს აწვება. აი, ეს გადასახადი გამოფენილია დღეს ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელსაც მეთაუროობს „სოციალისტები“. თუ ეს ასეა, რაღა მოსარიდებელია. რომ მშრომელმა ხალხმა, უმიწა-წყლომ ფული გადაიხადოს მიწის ნაჭერში. ეს ნაჭერი მიწისა ისე, როგორც ყოველი უპირველესი და მიუცილებელი საჭიროება ცხოვრებისა, უეჭველათ უნდა იყიდოს მიწად-მომქმედმა, თუ უნდა არსებობა, თუ სურს სიცოცხლე. თუ ასეა, რატომ-ღა არ უნდა გადაიხადოს ეს ვალი, რომელიც ამ ხანათ იმ ნაირივე არა-პირდპირი გადასახადია, როგორიც გაწერილია ყოველ უსაჭიროეს საქონელზე.

ცხადია, აქ ბოლომდი გატარებულია ერთი ხაზი, ერთი პრინციპი: დე, გაიმარჯვოს და გავრცელდეს არა-პირდაპირი გადასახადი, ხალხს კი, მშრომელ მაშვრალს თუნდა ჯანდაბამდი გზაც ქონია! მკითხველი ხედავს და რწმუნდება, რომ, თუ ზევით ლოღიკას ღალატობდა გაბატონებული პარტია, როცა უფასოთ ჩამორთმეულ მიწებს ჰყიდის მშრომელზე, მაშვრალზე,—აქ კი სრულებეთ დაცულია ლოღიკა. რატომ? უბრალოთ ასახსნელია: ერთიც და მეორეც გაბატონებულის, ახლათ მოვლენილი ბიუროკრატიისთვის სასარგებლოა. ჩვენ კი კარგათ ვიცით, ყოველი ველური ადამიანის ლოღიკა. ყოველ მის მოქმედებასა და საქმიანობას საფუძვლათ, მოტივათ უდევ

მხოლოდ პირადი სარგებლობა: რაც ჩვენის სასარგებლოა, ის საპრიანოა დაგანხორციელებულიც უნდა იქნეს, თუნდაც რომ ამან საზოგადოებას დიდი ზიანი მიაყენოს.

მაგრამ განა მართალია ის აზრი, რომ მშრომელ მასსას, მაშვრალს, რომელსაც მართლაც ნამდვილათაც სირდება მიწა, მართლა გადამეტი ფული აქვს ან მოეპოვება იმდენი საშუალება, რომ საჭირო მიწა იყიდოს, რა იაფათაც არ უნდა იყოს ეს მიწა მიყიდული? განვიხილოთ.

ჩვენ ვიცით, რომ მშრომელი გლეხობა, დიდი ხანია, შეუდგა მიწის შეძენას, ყიდვას. მართლაც. ბატონყმობა რომ გადავარდა, მას აქით ეს გლეხობა ყიდულობდა მიწას, თუმცა ის ამისთვის ბევრ ჭაპან-წყვეტას იტანდა და წელებზე ფეხს იდგამდა. აი, ასეთი გლეხობა, რომელმაც მიწის ყიდვა მოახერხა და შესძლო, დღეს ცოტათ თუ ბევრათ წელშია გამართული, მას ხელში რაიმე მოჰყვება. მაგრამ ამავე დროს დარჩენილია გლეხობის უმრავლესობა, რომელმაც ვერ შეიძლო, მიწა შეეძინა, ან შეიძინა იმდენი, რომ ეზოთ-ღა თუ ჰყოფნის. დანარჩენი საჭირო მიწა კი მას ღალაში აქვს აღებული. მშრომელი ხომ თვისი თავის მტერი არ იყო, არც იმდენათ ბეცი და შეუგნებელი, რომ არ ცოდნოდა, რომ მას თვისი საჭიროებისათვის საკმაო მიწა შეეძინა.

ასეთ შეუსაბამო ბრალს, დარწმუნებული ვარ, ვერავინ დასდებს ჩვენს მშრომელ ხალხს, მკვირცხლსა და თვის ფარგლებში ნიჭიერათ მომქმედს. მაგრამ იმის მიუხედავათ, რომ მაშვრალს ეს საჭიროება ცხადზე უცხადესათ ჰქონდა შეგნებული, საჭირო და საკმაო მიწა მაინც ვერ შეიძინა, ვერ იყიდა. ვერ იყიდა კი მაშინაც, როცა მიწა ძალიან იაფათ ფასობდა. იყო ადგილები, სოფლები და საზოგადოებანი—და ძალიან ბევრიც,—სადაც ერთი ქცევა მიწა ფასობდა ათი მანეთიდან არა უძვირესი მანეთისა. იშვიათი მიწა უნდა ყოფილიყო, იშვიათ შემთხვევაში, რომ ქცევა ორას მანათამდე ასულიყო. ყიდვაც შეღავათიან პირობებში შეეძლო მშრომელს მოეხდინა, შეესრულებია.

აი, ასეთ პირობებში და ამ ხნის განმავლობაში, ასეთი სიიაფის დროს ვერ შეიძინა მიწა მაშვრალმა, მშრომელი ხალხის უმრავლესობამ. მართლაც, გადაავლეთ თვალი ჩვენს სოფლებს. იქ ყოველი მიუდგომელი კაცი ნახავს და დარწმუნდება, რომ ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა შორის საკმაო მიწა აქვს მხოლოდ 38-პროც., არა აქვს კი 62-პროც., ე. ი. მცხოვრებთა სამ მეხუთედს არა აქვს იმდენი მიწა, რომ ეყოს სახნავ-სათესათ, საეზოვეთ, სავენახეთ და სახარდნეთ, არა აქვს იმდენი, რამდენსაც მოითხოვს ახალი კანონის მიერ დადგენილი ნორმა. მკითხველმა უნდა იცოდეს. რომ ეს ციფრები ჩემი გამოგონილი არ არის. ეს სინამდვილეს სრულებით შეესაბამება, თუ აქ შეცდომაა, ეს შეცდომა უფრო იმის გამომთქმელია, რომ უმიწაწყლოთა რიცხვი ნაკლებია ნაჩვენებია და არა გადამეტი, გადაჭარბებული. ახლა ვიკითხოთ, რომელნიც ამდენი ხნის განმავლობაში განიცდიდენ მიწის ნაკლებულებას, მოეპოვებათ განა გადამეტი ფული, რომ ეს უმტკივნეულოთ გაიღონ მიწის საყიდლათ?

მე გადაჭრით ვამბობ და ვამტკიცებ, რომ ასეთ პირთ ფული არ მოეპოვება. ამიტომ აზრის წინააღმდეგის თქმა სიყალბეა, ზღაპარია და ცბიერობით გამოგონილია. ან საიდან უნდა ეშოვათ ამათ ეს ფული ამ საარაკო ომიანობის დროს და საზღაპრო სიძვირის გამო: ჯერ იყო და ომიანობის ხანაში ესენი, მშრომელი ხალხის უმრავლესობა ომში იყო. მაშასადამე, შეძენას დოვლათისას, ფულისას მოკლებული იყო. ბევრიც ამათგანი მოკლულ იქნა და ოჯახი ამით გაპარტახებული დარჩა. ბევრიც დასახიჩრდა და სარჩენი შეიქნა. ამ ორი წლის განმავლობაში კი სარჩო საყიდელი ჰქონდა და, თუ ორიოდ გროშს იშოვიდა გადიდებულს დღიურ ქირაში, გადიდებულ ფასებსაც აძლევდა პურსა, სიმინდსა და ტანთსაცმელში. მაშ, საიდანღა გადირჩენ და ასეთი ადამიანი ფულს?! ეს საზღაპრო ამბავია და ცხოვრების სინამდვილეს სრულებით დაშორებული. გარდა ამისა, შეძლებულ პირს, ამ რევოლიუციის წარმოების დროს საშუალებაჰქონდა, რადგან მას ხარი ან კამეჩი ჰყავდა და იარაღიც—ნაჯახი, წალდი და სხვ. ჰქონდა, საზოგადო ტყეები გაეჭრა და შეშა კარგ ფასებში გაეყიდა, სახნავ-სათესიც, რაკი არავინ უშლიდა, ბლომათ მოეხნა. ამით კი ფულიც შეიძინა, რადგან გადამეტი სარჩო დიდ ფასებში გაჰყიდა. მაშვრალი და უმიწაწყლო კი, რომელს არც ხარი და არც კამეჩი ჰყავდა, არც საოჯახო იარაღი ჰქონდა, ამ გარემოებით ვერ ისარგებლებდა. მაშასადამე. იგი იმგვარივე უმწეო დარჩა. ის კი არა, მას საქონლის ჯირმა, რომელიც, აგერ სამი წელიწადია, სოფელში მძვინვარებს, ხარ-კამეჩი გაუწყვიტა, თუ კი ასეთი მოეპოვებოდა. ახალის შეძენა კი ყოვლად შეუძლებელი იყო სიძვირისა გამო. ამიტომ მან, მაშვრალმა ვერც საზოგადო და ვერც კერძო პირთა ტყე ვერ გაჩეხა, ვერც სახნავ-სათესი აიღო. მას თავისი ოჯახის გამოსაკვებათ სარჩოც კი საყიდლათ ჰქონდა.

გადახედეთ სოფელს, ზეპირათ ნუ ამბობთ ყოლიფერს და დარწმუნდებით, რომ ეს, რაცა ვსთქვი, სინამდვილეა, სიმართლეა გადაუჭარბებელი. ახლა როგორ-ღა გინდათ, რომ ასეთმა პირმა თქვენგან მიწა იყიდოს, რა შეღავათიან პირობებში არ უნდა მისთავაზოთ მას ეს მიწა?! იგი, ამ პირობებში, იძულებული იქნება, თქვენც მხოლოდ ღალა გაძლიოთ და თვისი მაჯისა და ოფლის საშუალებით მოყვანილ ხორბალში ხარკი გაძლიოთ. განა გს იგივე არა-პირდაპირი გადასახადი არ არის, იგივე გაძვალ-ტყავება არ არის და იმავე უსამართლობას არა აქვს აქ ადგილი?! უეჭველია, ეს ყოველივე ასე იქნება.

და თუ თქვენ მართლა გული შეგტკივათ ხალხისთვის, თუ მართლა გსურთ ამ ხალხს არ წაართვათ ის შედეგი, რომელიც მან მოიპოვა რევოლიუციის საშუალებით, რადგან თვისი განიერი გულ-ბოყვი მედგრათ ააზვირთა, თქვენ ეს მიწა უსასყიდლოთ უნდა გადასცეთ ამ ხალხს, ამ მშრომელს, ამ მაშვრალს, რომლის კეთილდღეობაზე არის დამოკიდებული თვით სახელმწიფოსა და მთელი ერის კეთილდღეობაცა და ჯანსაღობაც. ამას მოითხოვს მშრომელი მასსის ინტერესი. ამას მოითხრვს სიმართლე, ამასვე გავალებთ ის უტყუარი გარემოებაც, რომ მხოლოდ ამისთვის, მარტო ამისთვის აზვირთდ", აღელდა ეს ხალხი და ნუ ინებებთ, მას წაართვათ თვისი ცდითა და შეგნებული ნებისყოფით მოპოვებული უფლება, შეგიძლიათ მხოლოდ ერთი რამ: ამ ხალხს შემოსავლის კვალობაზე გააწეროთ გადასახადი და ეს გადასახადი აკრიფოთ. ამას გავალებთ პრინციპი და სამართლიანობა. ყოველივე ამის გარეშე კი იქნება ძალადობა, საშინელი ბოროტება, უმადურება და ნამდვილი გაძვალ-ტყავება მაშვრალი ხალხისა.

გავათავე. მინდა დავიჯერო და ჩემი თავი დჰვარწმუნო, რომ დამფუძნებელი კრების წევრნი, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებიდან არიან ჩამოსული, კარგათ იცნობენ ცხოვრების საშინლების ნამდვილს და შეულამაზებელ ვითარებას და ამატომ უშიშრათ ხმას აიმაღლებენ სიმართლისა და მაშვრალი ხალხისთვის. ჩემი რჩევა კი ის არის, რომ ნ. ბარათაშვილის სიტყვებით მოგმართოთ: ნუ იზამთ, ნუ ჩადიხართ ისეთ რასმე, რომ გათვითცნობიერებულმა და შეგნებულმა მაშვრალმა **თქვენი სახელი წყევათ მისცეს შთამომავლობას.**

ტიბერიელი.

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

(გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ." № 31)

მე გავბედავ და ვიტყვი, რომ ათინა მხოლოდ იმიტომ იყო ასეთი, იმიტომ იდგა ისე ახლოს პირველყოფილ დემოკრატიზმთან, რომ ძალიან ნაკლებად განიცდიდა სხვა ხალხთა ძალადატანებას და ბატონობას. ეპვს გარეშეა ერთი მოდგმის ხალხი ვერც ისე ადვილად შორდება წინაპართა ანდერძს და ჩვეულებას და ვერც ახერხებენ, ყოვლის მიუხედავად, შემოიღოს ისეთი წესები ჩაგვრა-წამებისა თავისი თანამოძმეების მიმართ, რაიც ასე ახასიათებს სხვა დესპოტიურ სახელმწიფოებს, რომელნიც აღმოცენდნენ ხალხთა დაპყრობით და დამორჩილებით.

ამისი ცოცხალი მაგალითი ჩვენს დროში შვეიცარიაა.

ეს ხალხი ძველი დროიდან თავისუფლად მცხოვრები დიდი მთების—ალპების კალთებზე, ყოველთვის ახერხებდა საშინელი წინააღმდეგობის გაწევას შემოსეულთა წინააღმდეგ და თავისუფლების და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

საინტერესოა, რომ შვეიცარია შესდგება სამი ეროვნების მცხოვრებთაგან: ნემცებისა, ფრანგებისა და იტალიელებისაგან. მაგრამ ეს ხალხი იმათავითვე თემობრივ თავისუფალ ცხოარებას შეჩვეული და ყოველგვარ იმპერიალისტურ მისწრაფებას დაშორებული, ადვილად დაუახლოვდა ერთიმეორეს და საერთო ცხოვრება ერთ ჭერქვეშ მოაწყვეს თანასწორობისა და თავისუფლების ნიადაგზე შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკა შესდგება 22 კანტონისაგან, რომელნიც სრულწად დამოკიდებულნი, სუვერენულნი არიან შინაურ კანონმდებლობაში და მართვა-გამგეობაში.

რომ ეს კავშირი შედეგია მათი თავისუფალი ნების ყოფისა, ნათლადა სჩანს ფედერაციის კონსტიტუციიდან.

1 მუხლში სწერია: „ერთად შეკავშირებული შვეიცარიის ოცდაორის დამოუკიდებელი თემის ხალხი, ე. ი. ციურიხი, ბერნი, ლიუცერნი და სხვანი შეადგენენ შვეიცარიის კონფედერაციას.

მუხ. 2. მიზანი კონფედერაციისა არის უზრუნველჰყოს სამშობლოს დამოუკიდებლობა, დაამყაროს მშვიდობიანობა და წესიერება ყველა შვეიცარიელთა შორის განაძლიეროს მათი საერთო კეთილდღეობა.

მუხ. 3. თემები დამოუკიდებელნი არიან ფედერაციის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგალში და, როგორადაც ასეთნი, დამოუკიდებლად სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, რომელნიც კანონმდებლობის თანახმად ფედერაციის მართველობის უფლებას არ ეკუთვნიან.

ამ მუხლებიდან აშკარადა სჩანს, რომ შვეიცარიის სახელმწიფო შექმნილია განსაზღვრული მიზნით, დამოუკიდებლობის დასაცველად და საერთო კეთილრღეობისათვის და იგი შედეგია არა ძალადატანებისა, დაპყრობისა და სხვა, არამედ თავისუფალი შეკავშირებისა საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ურთიერთის დასახმარეელად. ეს კავშირი ნაყოფია ხალხის, დემდკრატიის შეგნებული მოქმედებისა და ამიტომ მას არა აქვს მიზნად ვისიმე უპირატეობის ან პრივილეგიების დაცვა.

მეოთხე მუხლში სხვათა შორის ნათქვამია:

„შვეიცარიაში არც ქვეშევრდომობაა და არც რაიმე პირივილეგია ადგილობრივი. შთამომავლობითი, პირადი ანუ გვაროვნობითი"-ო.

ამრიგად მთავარი დემოკრატიული პრინციპი თავისუფალი შეთანხმებისა ამ კავშირში სრულიად დაცულია.

ფედერაციის მართველობის სათავეში სდგას ორი პალატა. ერთი შესდგება ხალხის მიერ საყოველთაო არჩევნებით არჩეული დეპუტატებისაგან 3 წლით რიცხვით 20 ათას მცხოვრებზე თითო წარმომადგენელით და ეწოდება მას „საერო საბჭო", ხოლო მეორე პალატა შესდგება 44 წარმომადგენლისაგან კანტონების თვითმართველობთაგან თითოზე ორ წარმომადგენლით და მას ეწოდება „ფედერალური საბჭო".

ამ ორი პოლიტიკის ხელშია ქვეყნის მართვა-გამგეობა და უმაღლესი ხელმძღვანელობა კავშირის საქმეებისა.

ფედერაციის კანონებში, დეკრეტები და დადგენილებანი გამოიცემიან ორივე სათათბიროს თანხმობით. საფედარაციო კანონები წარედგინებიან ხალხის წინაშე დასამტკიცებლად რეფერენდუმის საშუალებით, როდესაც ამას მოითხოვს 30,000 სრულუფლებიანი მოქალაქე ან რვა თემი.

თვით კანტონების შინაური მართველობა, რომელთა კავშირსაც წარმოადგენს შვეიცარიის რესპუბლიკა, თუმცა სხვა და სხვანაირია ამა თუ იმ კანტონში, მაგრამ არსებითად ერთი და იგივეა დემოკრატიული პრინციპებით, ხალხის ბატონობით.

ყველა კანტონს თავისი შინაური წყობილების კონსტიტუცია აქვს და იმის თანახმად იწესრიგებს თავის საქმეებს.

საკანონმდებლო ორგანო ყველა კანტონებში შესდგება ერთი პალატისაგან, რომელიც შესდგება ხალხის მიერ საყოველთაო არჩევნებით არჩეული დეპუტატებისაგან. ზოგიერთ კანტონებში, როგორც არიან: ური, უნტერვალდენი, გლორუსი და აპპენცელი საერთო კრება ყველა ხმის მქონეთა—საერო ყრილობა.

ამ პალატების ხელშია არა მარტო კანონმდებლობა, არამედ უახლოესი ზედამხედველობა და გამგებლობა მართვა-გამგეობისა [illegible] და სხვა.

მაგრამ [illegible] ზედამხედველობა და მბრძანებლობა ეკუთვნის ხალხს ეგი არაფერს უთმობს თავისი უფლებიდან თავის წარმომადგენლებს და როგორც რწმუნებულებს, მუდამ თვალყურს ადევნებს და თუ დაინახა მათი მრუდე მოქმედება, ხალხი მაშინათვე მოითხოვს პალატის დათხოვას ვადის გასვლამდის და ახალი არჩევნების მოხდენას. მაგ. ნემეცურ კანტონებში ათას კაცს შეუძლია მოითხოვოს პალატის დათხოვა და მთავრობა ვალდებულია ეს საკითხი დაუყოვნებლივ ხალხს წარუდგინოს გადასაწყვეტად და თუ მიღებულ იქმნა დადებითი გადაწყვეტილება, პალატას დაუყოვნებლივ ითხოვენ და ახალი არჩევნები ინიშნება.

ამ გარანტიასაც არა კმარობს ხალხი. მას აქვს ვეტოს უფლებაც. 50 მოქალაქის მოთხოვნით მთავრობა ვალდებულია კენჭი უყაროს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოაქვეყნეს და თუ უმრავლესობა ამის წინააღმდეგი აღმოჩნდება, გადაწყვეტილება გაუქმებულია.

ამის გარდა შვეიცარიელნი ფარდოდ სარგებლობენ საკანონმდებლო ინიციატივით.

ხალხი პეტიციის საშუალებით წინადადებას აძლევს მიიღოს ესა თუ ის კანონი, რომელსაც ხანდახან უკვე შემუშავებულის სახით წარადგენს. მთავრობა ვალდებულია ეს კანონი ხალხს წარუდგინოს და კენჭი უყაროს. თუ უმრავლესობა კანონს მიემხრო, იგი უკვე ძალაში შედის.

ნამდვილად შვეიცარიის დემოკრატია უფრო ხშირად სარგებლობს რეფერენდუმით, რომლითაც ხალხი ან ღებულობს ან უარჰყოფს საკანონმდებო კრების მიერ მოწონებულ კანონებს.

თვით კანტონის მართვა-გამგეობა დამყარებულია თემთა თვითმართველობაზე.

„თემი შვეიცარიაში სარგებლობს თვითმართველობაში ისეთი თავისუფლებით, როგორიც ძნელად მოიპოვება ევროპის სხვა ადგილებში ანალოგიურ ადგილობრივ მთავრობის ორგანოებიო", — ამბობს ვ. ვილსონი.

მასა აქვს საკუთრება, როგორც იურიდიულ პირს, განაგებს თავისი ტერიტორიის მართველობას და ადმინისტრაციას, სკოლის საქმეებს და სხვა. მცხოვრებთა საერთო კრება—სასოფლო ყრილობა—არის უმაღლესი ორგანო თემების მართველობისა. იგია კანტონის სახელმწიფო ორგანიზაციის ძირითადი ელემენტი და იგი ანხორციელებს ადგილობრივ ყოველგვარ სახელმწიფო—პოლიტიკურ ფუნქციებს.

თქვენა ხედავთ რომ ძირითადი თვისება დემოკრატიული წყობილებისა—ხალხის გამგებლობა და სუვერენობა—ამ რესპუბლიკაში ისევე როგორც ათინის რესპუბლიკაში დაცულია.

ხალხი აქ ისე უყურებს თავის არჩეულ ხალხს დეპუტატებს, როგორც მათი ნების აღმსრულებელნ, როგორც მათ მსახურთ და ამიტომ თუ მათ ავალებს მუშაობას, საქმის შესრულებას და საკანონმდებლო წინადადებათა შემზადებას, თვითონ, როგორც ბატონ-პატრონი მდგომარეობისა. იტოვებს უმთავრეს უფლებას ამ ნამუშავრის მიღება-უარყოფისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტროლისას. ამ პირობებში მთავრობა მართლა მსახური და მორჩილია ხალხისა და არა რაღაც განკერძოებული, მაზედ მაღლა მდგომი ძალა. რომელსაც მოქალაქენი ქედ მოხრით უნდა ემორჩილებოდნენ.

ი. ვარაზაშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

† ლუარსაბ ბოცვაძე.

ლუარსაბის დაკარგვით ქართველმა ერმა დიდი დანაკლისი განიცადა. ჩვენი მწერლობის საუკეთესო გუნდს კალმოსნებისას კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი გამოაკლდა. ქართველ დამსახურებულ პედაგოგთა შორის მას ფრიად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ამიტომაც ღრმა კვალი დასტოვა მან თვისი მუშაობით ჩვენი ცხოვრების ამ დარგში. მეტად დიდსა და დაუღალავ მუშაობას ეწეოდა ის საპედაგოგიკო სარბიელზე, რისთვისაც მისი ხსოვნა და სახელი უკვდავჰყო თვისი ნაზისა და უანგარო მუშაობით. იშვათად თუ მოიძებნება ადამიანი ისეთი სათნო, გულუხვი და პატიოსნებით აღსავსე, როგორიც ლუარსაბი იყო. მის დაუღალავ და თავდადებულ მუშაობას უადა მიეწეროს ჟურნალ „განათლების“ მოწყობა-მოგვარების საქმე. მრავალჯერ დასდგომია მას ისეთი წუთი, რომ ჟურნალის გამოცემა შეუძლებელი იყო, მაგრამ ლუარსაბი არ ზოგავდა არავითარ ძალას, რომ თვისი დაწყებული საყვარელი საქმე არ მიეტოვებია — გამომცემლობა არ შეფერხებულიყო. თორმეტი წლის განმავლობაში იგი გმირათ ქცეული ყოველგვარ დაბრკოლების მიუხედავათ ეწეოდა ჟურნალის გამომცემლობის საქმეს; და ისედაც ფრიად დიდი და ნაყოფიერი მისი ოცდა ოთხი წლინ საზოგადო მოღვაწეობა ქართველ მწერლობის სარბიელზე, უფრო თვალსაჩინო და მიმზიდველი შეიქმნა ჩვენთვის.

და ამ დაუღალავი, თავდადებული მუშაობით მან ბევრ ქართველს ასწავლა თუ როგორ უნდა ბრძოლა დასახულ მიზნებისადმი.

განსვენებულს მრავალი საპედაგოგიკო ხასიათის ნაწარმოები აქვს, რომლებიც უმთავრესად ჟურ. „განათლებაში“ იბეჭდებოდა.

მაგრამ უწყალო სიკვდილმა არ დააცალა კიდევ მხნეთ და მუყაითად ემუშავნა ქართველი ერის საკეთილდღეოდ და მისი განწირული წმინდა სული ნანატრათ დაიწვა ქართველი ერისავე საკურთხეველზე.

რევოლიუციის წითელ დღეთა შორის მრავალჯერ შეთალხულა ქართველი ერის საზეიმოთ გამზადებული გული დიდი დანაკლისების გამო. და დღესაც ხომ ასეთ დიდ დანაკლისს განვიცდით, ძვირფასი მასწავლებლის და საუკეთესო პედაგოგის ლუარსაბ ბოცვაძის დაკარგვით. ვგლოვობთ და გულითად ვწუხვართ საყვარელი მასწავლებლის განშორებას.

ივ. კანდელაკი.

გაკვრით.

(ხამხედრო ნაწილში *)

თევზმა სთქვა: „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“. ასე მემართება მეც.

ირგვლივ ათასგვარ უსამართლობას, ძალმომრეობას, გაიძვერობას და ღალატს ხედავ ადამიანი, მაგრამ ვერაფერი გითქვამს, ვერ გაგიმხელია. რა გროშათ ვიყიდი ისეთ თავისუფლებას თუ ენაზე მტარვალისებურ ბოქლომს დაგვადებთ და უსამართლობის და უკულმართობის წინააღმდეგ სიტყვას არ გვათქმევინებთ. მე მგონი რომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა საერთო ინტერესების წინაშე რომ თუ რამ უსამართლობას ხედავს მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლოს, სიტყვა სთქვას. რომ მით დამნაშავეთ გაკვეთილი მიეცეს და შემდეგშიც არ გამეორდეს მსგავსი რამ უსამართლობა. მეც ამ აზრით ვხელმძღვანელობდი მაშინ, როდესაც ვწერდი ჩემს წერილს „შენიშვნები ჯარის კაცის ცხოვრებიდან“, რომელიც „ახალ ნაკადის“ ფურცლებზე იყო მოთავსებული, ისიც ვიცოდი და მჯეროდა, რომ ბევრს ჩაახედებდა ის წერილი თავის გულში და იქ დაფარულ საიდუმლოებას მოსვენებას არ მისცემდა, სინიდისი ქენჯნას დაუწყებდა, როგორც დამნაშავეს და შავს პიროვნებას სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ზოგიერთები გაკადნიერდებოდნენ და მუქარას შემომითვლიღნენ და ჩემს დასასჯელათ არავითარ ძალას და ღონეს არ დაზოგავდენ ოღონდ მე კი ჩავექოლეთ და დავემცირებიეთ, მაგრამ მე სრულებით არ მაშინებდა ასეთი რამეები და რაც ვსთქვი იმას დღესაც ვიმეორებ, რომ სრული ჭეშმარიტებაა. თუ არ გჯერათ მიდით ჯარისკაცთან გამოკითხეთ თავისი მდგომარეობა და შეადარეთ შემდეგ ჩემი ნათქვამი თუ ისევ ის არ გამოვიდეს, რაც ჯარისკაცმა გითხრათ თავის გაჭირვების შესახებ. თუ კი ეს ასეა, რა საჭიროა ჩემი შეურაოხყოფა და ჩაქოლვა ტყვილა უბრალოთ.

მე ვთქვი ის რის თქმაც შეეძლო გულშემატკივარ ადამიანს, რომ შემდეგში მაინც მიექციათ ყურადღება იმ გარემოებისთვის და გასწორებიათ შეცდომები თანდათან და შეძლებისდაგვარათ.

ამის შესახებ მე ახლა აქ ჯერ ბევრს არაფერს ვიტყვი, ვინაიდან მეც მოველოდი ასეთ რამეებს დღევანდელ „თავისუფლების“ ხანაში და კიდეც აღსრულდა.

მაგრამ ის კი არ მჯეროდა: რომ თავისუფალი სიტყვისათვის თუ ასე დაუწყებდნენ დევნას პიროვნებას და აითვალისწინებდნენ ისე როგორც მე მომექცნენ.

ჯერ რასაკვირველია შეეცადნენ რომ გაზეთის საშუალებით პასუხი გაეცათ ჩემთვის მაგრამ, როდესაც კარგათ დარწმუნდნენ ჩემს მიერ ნათქვამის სრულ ჭეშმარიტებასა და სისწორეში, შემდეგ ამითვალისწინეს და შეხედვაც კი შეიძულეს ჩემი. ამის მთავარი მიზეზი კი გენერალი ქავთარაძეა, რომელიც სამხედრო სამინისტროს საერთო გან. კანცელარიის უფროსია. იგი ისე შეაშფოთა და გააბრაზა ჩემმა წერილმა, რომ არ იცოდა რა ექნა.

ჩემს მაგივრათ ჩემს უფროსს ამავე ნაწლის სარეგისტრაციო განყოფილებისასაც კი დაემუქრა და დასჯა შეპირდა, რადგან თურმე მან დროზე ვერ შეატყობია ჩემი წერილის გამოსვლა, რომ უფრო მალე გამსწორებოდა ხსენებული გენერალი.

---

*) იხ. „ახ. ნაკ.“ № 28.

მიკვირს ჯარისკაცი იმდენათ დაბლა რათ უნდა იდგეს სხვა მოქალაქეებთან შედარებით, რომ მას თავისუფალი სიტყვის უფლება არ ქონდეს. მაგრამ დღეს სხვა რა არის გასაკვირელი რომ ესეც გაკვირვებას ახდენდეს.

მაშინვე ჩემს შესახებ გენ. ქავთარაძემ ბრძანება გასცა რომ გაეგოთ ჩემი ოჯახური გარემოება და თუ განთავისუფლება შეძლებას მისცემდნენ უნდა სრულიად განვენთავისუფლებინე სამსახურიდან (მე სამხსდრო სამინისტროს სარეგისტრაციო განყოფილეიაში ვითვლებოდი მივლენილად სამუშაოდ) ან და თუ ჩემი ოჯახური სდგომარეობა არ გამანთავისუფლებდა, მაშინ კი სამხედრო უფროსის განკარგულებაში აპირებდა ჩემს გაგზავნას, როგორც გავიგე. მაგრამ როგორც ჩემგანვე შეიტყეს, მე ერთად ერთი ოჯახის მარჩენალი აღმოვჩნდი და მაშასადამე ჩემი გაძევებაც სამსახურიდან ადვილად შეიძლებოდა ახალი კანონის ძალით. საჭირო იყო მხოლოდ დასამტკიცებელი ქაღალდები იმისა რომ მე მართლა ოჯახის მარჩენელი ვიყავი, მაგრამ საჭირო ქალალდების ჩამოსვლამდის, რომელსაც მოველოდი სოფლიდან არ გამაჩერეს იქ და უმისოთ მომცეს თავისუფლების ფურცელი, როგორც ერთად-ერთ მარჩენელს ოჯახისას ახალი კანონის ძალით, ხოლო ისე კი პირობა დამადებინეს რომ ათი დღის განმავლობაში წარმედგინა ჩემი მეტრიკა და მოწმობა ჩემი ოჯახის მარჩენლობის შესახებ. მკითხველო თქვენ თვითვე დაინახავთ თუ რა სულმოკლენი აღმოჩნდნენ ჩემს წინაშე გენ. ქავთარაძე თვისი ხელქვეითებით, რომ ათი დღეც კი არ გამაჩერეს სამსახურში, როგორც არა საიმედო პირი მათი აზრით. ყოველივე ამით თქვენ ნათლათ დაინახავთ თუ რა ნების ადამიანები ამშვენებენ ჩვენს სამხედრო ნაწილს. დემოკრატიულ სახელმწიფოისას.

ჩვენის აზრით ასეთი ნაბიჯებით ჩვენი გენერლები, საქმეს უფრო გაამწვავებენ მიზნის მიღწევის მაგივრად, და სასაცილო მდგომარეობაში ჩაცვივდებიან, რადგან თავისავე ხელით დაანგრევენ მას რის აშენებაც ვითომც და სწყურიათ. რომ ეს ასე არ მოხდეს საჭიროა, რომ გაკვეთილები რევოლიუციიდან მიიღონ და არა ძველი დროის ისტორიის მტვერიან ფურცლებიდან.

ავტორი.

უუნალ-გაზეთებიდან.

სოციალიხტთა კრება.

შაბათს ბერლინში შესდგა სოციალისტების შეერთებული კრება, რომელზედაც უნდა გამოემუშავებინათ ზომები ოთხშაბათს მომხდარ უთანხმოების მოსასპობათ, კრებას დაესწრო ორივე სოციალისტურ პარტიის მხრით 300 დელეგატი. სხდომა გახსნა ედუარდა ბერნშტეინმა, რომელმაც წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა ორივე სოციალისტურ პარტიის გაერთიანების აუცილებლობა. ბერნშტეინის შემდეგ ილაპარაკა კოგენმა, რომელმაც სთქვა, რომ არც ერთ სოციალისტურ პარტიას გარკვეული პროგრამა არა აქვს, რაც გერმანიისათვის ერთ ერთ უბედურებას წარმოადგენს. კოგენმა პირადად აღნიშნა სოც.-დემოკრატიულ პარტიის მომავალი პროგრამა: პირველად ყოვლისა მხედველობაში უნდ იქმნეს მიღებული ის გარემოება, რომ გერმანია იძულებულია, დიდი ზომები მიიღოს შრომის ნაყოფიერობის გასაძლიერებლად პირველ რიგში მუშები უნდა ზრუნავდნენ ამაზე. ყოველ შეთხვევაში მომავალმა პროგრამამ უნდა უარჰყოს პროლეტარიატის დიქტატურა, როლლის შექმნასაც აპირებდნენ გერმანიაში რუსეთის მაგალითის მიხედვით, დიქტატურას დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა ხალხის დანარჩენი ნაწილი, ხოლო ეს კი ტეროორს გამოიწვევდა.

გაზ. „ვოლნა“ იტყობინება ამიერ კავკასაის კასპიის იქითა მხარის და დაღესტნის პროფესიონალურ ორგანიზაციათა საყურადღებოდ, რომ კონფერენციაზე არჩეული ცენტრი ბაკოდან გადმოვიდა თფილისში და დროებით მოთავსებულია ელისაბედის ქუჩაზე.

პეტერბურგის წინააღმდეგ ზღვაზე ბრძოლა კოლჩაკს გენერალ აილკინისთვის მიუნდვია.

საერთო კრება.

ივლისის 1-ს, სამშაბათს საექიმო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სამკითხველო, ალექსანდრეს ბაღის გვერდით) საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება საქართ. რევოლიუც. სინდიკალისტ მაშვრალთა თფილისის კავშირის წევრთა საერთო კრება. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა. დასწრება შეუძლია არა წევრთაც.

მოხსენებას **თანამედროვე მომენტზე და ჩვენს მიზანზე** გააკეთებენ ალ. წერეთელი, ბ. ქელბაქიანი და ალ. იოსელიანი. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

ახალი ამბავი.

გენ. ნათიშვილი. როგორც გადმოგვცემენ გენერალი ნათიშვილი, ამა წლის აპრილიდან უკრაინაში უფროსობდა კომუნისტების წინააღმდეგ „ზაპაროჟევსკის“ დივიზიას. მისი დივიზია როდესაც კომუნისტებმა გაანადგურეს, იგი გამოქცეულა შავი ზღვის ნაპირებისკენ, და ამ ჟამად ის მოხალისეთა დავალებით ადგენს ტუზემცების დივიზიას. როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, ბევრი ქართველი აფიცრობა მიმურება ბათუმში.

ჩრდილო-კავკასია. ლურთუბანდან ჩამოსულების ცნობით როდესაც დერბენდიდან აზერბეჯანის ჯარი გასულა, პირველათ მოხალისეთა აფიცერთა პოლკი შეჭრილა. რომლის უფროსიც ყოფილა ქუთაისის მაზის სამხედრო უფროსის თანაშემწეთ ნამყოფი პორუჩიკი, ეხლა კი პოლკავნიკი გრიშა მასხარაშვილი, მას ბევრი ქართველი აფიცრობა ყოლია პოლკში.

ჩვენი კავშირის მთავარმა კომიტეტმა მიიღო „ამონაწერი საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ და დასახიჩრებულთა კავშირის საერთო კრების (თიბათვის 22-ის) ოქმიდან“. მთავარი კომიტეტი ეცდება, ყოველ მხრივ დაეხმაროს მათ დასახულ მიზანში.

ს. წყალტუბო. ქუთაისის სამაზრო ერობა უკვე შესდგომია საგარაკო შარა გზის შეკეთებას, სამწუხაროდ მუშაობა ვერ არის თურმე ჯერ-ჯერობით სასურველ ნიადაგზე დაყენებული.

ხანგრძლივ წვიმების გამო აქეთ მოსავალი მეტად უმწეო მდგომარეობაშია, აბანოებზედაც მეტად მცირერიცხოვანი საზოგადოება იყრის თავს. გზების უვარგისობის გამო. სხვათა შორის ეხლა აქ იმყოფება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და ჯავშნოსნების სარდალი ვალ. გოგვაძე.

ჯერ ჯერობით აბანოებზე სრულებით არაფერი გაკეთებულა მომავლისათვის, როგორც ამბობენ ფართე გეგმებია განზრახული, უფროს ექიმად აქ არის დანიშნული ექ. შანშე ლეჟავა. აბანოებით სარგებლობა ექიმის შეუმოწმებლად აკრძალულია, ბანაობა კი ღირს მანეთნახევარი.

„კრონოსის სარკე“. ამ მოკლე ხანში ტფილისშ გამოვა ყოველთვიური სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი „კრონოსის სარკე“. ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ახალგაზდა მწერლები.

ჩვენი ფოსტა.

გ. ჯვარიშვილს. მოგვაწოდეთ წერილები.

რედაქტორ-გამომცემელი.
სარედაქციო-კოლეგი

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის
გაზეთ
„ახალი ნაკადი“-ზე
გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ
კვირაობით
გაზეთის ფასი:
ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.
დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.
ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

ტამბა ქართულ ბეჭდვითი ამხანაგბის „გოლოვინის ქუჩ., ტელ. 4—73.